ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის აპარატი

N 25/10849

04/06/2015

10849-25-2-201506040916

GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 144
თარიღი: 9 06 2015 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ პ. გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი 2015 წლის 22 მაისის №198 (№9569/25. 22.05.15) მიმართვის პასუხად გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული განცხადება გადაგზავნილი იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურში ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოძიების მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2015 წლის 02 ივნისის №10285-25 საპასუხო წერილის საფუძველზე გეგზავნებათ, შესაბამისი სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული უძრავი ქონება არ გასხვისებულა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, რის გამოც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არ არის დაცული ხელშეკრულება და ინფორმაცია ინვესტიციის მოცულობისა თუ წერილში აღნიშნულ სხვა საკითხებზე.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ნუკრი დეკანაძე

აპარატის უფროსი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის არქიტექტურისა და ურბანული
დაგეგმარების სამსახური

N 10285-25 02/06/2015

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
აპარატის უფროს ბატონ ნუკრი დეკანაძეს

ბატონო ნუკრი,

თქვენი 2015 წლის N 9758-25 მომართვის პასუხად გეგზავნებათ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ქ. ბათუმში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე 8843.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N05.23.02.004) საცხოვრებელი და სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის მიზნით 2009 წლის 22 ივნისის N110 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა შპს „ტურინვესტის"-ს (ს/კ N245555554) სახელზე. 2013 წლის 16 დეკემბერს თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანო-საკრებულოს თავმჯდომარის N02/2791 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურულ პროექტში ცვლილებები და გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 02 დეკემბრის Nმ/1128 ბრძანებით გაგრძელდა მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა და განისაზღვრა იგი 2015 წლის 20 მაისამდე
2. ასევე გაცნობებთ, რომ ხელშეკრულება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურში არსებულ სამშენებლო დოკუმენტაციაში არ მოიპოვება. გამომდინარე იქედან რომ მოქმედი სამშენებლო ნორმების და რეგულაციების გათვალისწინებით მისი წარმოდგენის ვალდებულება დამკვეთს არ ეკისრება.

ირაკლი ახალაძე

სამსახურის უფროსი

6010 [illegible] ქ. N25
ტელ: 0 (422) 27 26 27
0 (422) 27 26 28